საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №46 კოდიფიცირებული

ქ. ბათუმი 29 ივნისი, 2017 წ.

ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 და 55-ე მუხლების და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების თანდართული წესი **(დანართი 1).**
2. დადგენილება გავრცელდეს 2017-2018 სასწავლო წლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ფაკულტეტებს და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს
2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილებით
დანართი 1.
*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს
2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/92 და
2020 წლის 06 აგვისტოს N06-01/51 დადგენილებით)*

ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესის მიზანია განსაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის (შემდეგში ,,პროფესორ-მასწავლებელი“) საქმიანობის (პედაგოგიური, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის) შეფასების კრიტერიუმები, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები და მიღებული შედეგების გამოყენების პროცედურა.

2. შეფასება განხორციელდება:

ა) აკადემიურ პერსონალის - წინამდებარე წესის მე-2-მე-4 მუხლების შესაბამისად:

ბ) მოწვეული პერსონალის (მოწვეული პროფესორი, სპეციალისტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი) - ამავე წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2. პედაგოგიური საქმიანობის შეფასება

1. პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური საქმიანობის შეფასების შემადგენელი კომპონენტები შეიძლება იყოს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის (სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/სრულყოფა, სასწავლო მასალების - სალექციო/ჯგ. მუშ./ლაბ. სამუშაოს მასალა და სხვა) პროცესში ჩართულობა; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/92 დადგენილებით)*

ბ) სასწავლო კურსების სილაბუსების სისტემატიური განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობა; *(ძალადაკარგულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის14 აგვისტოს N06-01/92 დადგენილებით)*

გ) სასწავლო მასალების (სალექციო/ჯგ.მუშაობის, დავალებების მასალა და სხვა) შემუშავება, განახლება და სრულყოფა;

დ) შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მომზადება;

ე) სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის (გამოკითხვების) შედეგები;

ვ) ცოდნის შეფასების სისტემის გამჭვირვალობის ხარისხი (სტუდენტთა ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ);

ზ) სტუდენტთა შეფასებების (მიმდინარე, შუალედური, დასკვნითი) სტატისტიკური ანალიზი;

თ) სტუდენტების ინტერვიუირების შედეგები (საჭიროება განისაზღვრება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში);

ი) ლექციების/ჯგ.მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიულის/სხვა მონიტორინგი;

კ) სტუდენტთა კონსულტირება;

ლ) სხვა აკადემიური აქტივობა (სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ.).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის კომპონენტების გათვალისწინებით პედაგოგიური საქმიანობის შეფასება განხორციელდეს ამ წესის **დანართი 1-ის ველების** შესაბამისად, ბსუ-ში მოქმედი ელექტრონული პორტალის (www.apa.bsu.edu.ge) გამოყენებით, მათ შორის დასაქმებულის თვითშეფასების საფუძველზე. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/92 დადგენილებით)*

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „სტუდენტების ინტერვიუირების“ საჭიროება განისაზღვრება ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ შემდეგი აქტივობების შეფასების შედეგად:

ა) პროფესორ-მასწავლებლების მიერ შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მომზადება:

ბ) სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (გამოკითხვები);

გ) სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის გამჭვირვალობის ხარისხი;

დ) სტუდენტთა შეფასებების (მიმდინარე, შუალედური, დასკვნითი) სტატისტიკური ანალიზი;

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/92 დადგენილებით)*

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კომპონენტებია:

1.1. სამეცნიერო ნაშრომები/მონოგრაფია/გამოგონება/პატენტი (ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტივობის შესრულება):

ა) Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებული სამეცნიერო ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ეროვნულ ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი.

1.2. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა: Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებული სამეცნიერო ღონისძიების თეზისები/გამოცემები;

1.3. გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში (საერთაშორისო, ეროვნულ ან საუნივერსიტეტო) მონაწილება ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების (80% და მეტი) მიღება;

1.4. სხვა სამეცნიერო აქტივობები: სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა ან სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა ან საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა ან სამეცნიერო სემინარების ჩატარება ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა ან სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა ან სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება ან მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა ან სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება ან საექსპერტო მომსახურება ან საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა ან სხვა.

2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცედურებია:

2.1. აკადემიური პერსონალის მიერ ბსუ-ში მოქმედ ელექტრონულ პორტალზე (www.apa.bsu.edu.ge) სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმის შევსება;

2.2. შეფასებაზე პასუხისმგებელი პირების (სამეცნიერო კვლევების სამსახური, რექტორის მოადგილე, დეკანი, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) მიერ დასაქმებულის თვითშეფასების თითოეული კომპონენტის შესაბამისი აქტივობის დადასტურება;

2.3. პასუხისმგებელი პირის დადასტურების საფუძველზე, სხვა სამეცნიერო აქტივობის შეფასება (ქულების მინიჭება, რომელიც არ არის დამოკიდებული რაოდენობრივ მაჩვენებელზე):

ა) სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა - 1 ქულა;
ბ) სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა - 1 ქულა;
გ) საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა - 1 ქულა;
დ) სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა - 2 ქულა;
ე) სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა - 3 ქულა;
ვ) სამეცნიერო სემინარების ჩატარება - 2 ქულა;
ზ) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა - 1 ქულა;
თ) სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა - 2 ქულა;
ი) მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა - 3 ქულა;
კ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 1 ქულა;
ლ) სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება - 2 ქულა;
მ) სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება - 2 ქულა;
ნ) საექსპერტო მომსახურება - 2 ქულა;
ო) საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა -2 ქულა;
პ) სხვა აქტივობა - 1 ქულა;

3. სამეცნიერო აქტივობებისა და მინიჭებული ქულების საფუძველზე დასაქმებულის საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგნაირად:

3.1. უმაღლესი შეფასება ენიჭება პირს, რომელიც საანგარიშო პერიოდში (გასული კალენდარული წლის მონაცემები, გარდა სამეცნიერო გრანტისა) აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი ტომსონ როიტერის იმპაქტ-ფაქტრის მქონე Web of Science ან ტომსონ როიტერის იმპაქტ-ფაქტრის მქონე ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან აქვს საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) არის ბოლო სამი წლის განმავლობაში დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი;

დ) სხვა სამეცნიერო აქტივობებში აქვს არანაკლებ 5 ქულა.

3.2. მაღალი შეფასება ენიჭება პირს, რომელიც საანგარიშო პერიოდში (გასული კალენდარული წლის მონაცემები) აკმაყოფილებს **უმაღლესი** შეფასებისათვის გათვალისწინებულ პირველ ან მესამე მოთხოვნას (წინამდებარე წესის 3.1 ქუნქტის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტები) ან შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან აქვს ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი/ დამხმარე პირი;

დ) სხვა სამეცნიერო აქტივობებში აქვს არანაკლებ 5 ქულა.

3.3. კარგი შეფასება ენიჭება პირს, რომელიც საანგარიშო პერიოდში (გასული კალენდარული წლის მონაცემები) აკმაყოფილებს **მაღალი** შეფასებისათვის გათვალისწინებულ პირველ მოთხოვნას (წინამდებარე წესის 3.1 ქუნქტის „ა“ ქვეპუნქტები) ან შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) სხვა სამეცნიერო აქტივობებში აქვს არანაკლებ 5 ქულა.

3.4. შეფასების გარეშე ენიჭება პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებს (წინამდებარე წესის 3.1 ან 3.2 ან 3.3. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები).

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასება

1. სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში მოიაზრება ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი ის აქტივობა, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს:

ა) საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა;

ბ) სამსახურეობრივი ან/და კორპორაციული პასუხისმგებლობა;

გ) დარგობრივი დეპარტამენტის სხდომებში მონაწილეობა;

დ) ფაკულტეტის საბჭოს სხდომებში მონაწილეობა;

ე) სადისერტაციო საბჭოს სხდომებში მონაწილეობა;

ვ) წარმომადგენლობითი საბჭოს და აკადემიური საბჭოს სხდომებში მონაწილეობა;

ზ) სხვადასხვა საუნივერსიტეტო სამუშაო ჯგუფებში/კომისიებში მონაწილეობა.

3. ამ მუხლით მე-2 პუნქტის კომპონენტების გათვალისწინებით სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასება განხორციელდეს ამ წესის დანართი 3-ის ველების შესაბამისად, ბსუ-ში მოქმედი ელექტრონული პორტალის (www.apa.bsu.edu.ge) გამოყენებით, მათ შორის დასაქმებულის თვითშეფასების საფუძველზე; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/92 დადგენილებით)*

მუხლი 5. პერსონალის საქმიანობის ანალიზი და წახალისების ღონისძიებები

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის (მოწვეული პროფესორი, სპეციალისტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი) საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს

რეკომენდაციებს და საბოლოო ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რექტორს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის/მასალის საფუძველზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებს.

3. ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს წინადადებებს პერსონალის შესაბამისი წარმომადგენლების მიმართ შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიების გამოყენების შესახებ.

ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის
დანართი 1.

(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/92 დადგენილებით)

პედაგოგიური საქმიანობის შეფასება							
	შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები	უმაღლესი	მაღალი	კარგი	შეფასების გარეშე	დადასტურება	შენიშვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და სრულყოფის პროცესში ჩართულობა	დეკანი						
	პროგრამის ხელმძღვანელი:						
	კურიკულუმის კომიტეტის ხელმძღვანელი:						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობა	დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
	პროგრამის ხელმძღვანელი:						
სასწავლო მასალების შემუშავება, მუდმივი განახლება და სრულყოფა	პროგრამის ხელმძღვანელი						
	დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მომზადება	პროგრამის ხელმძღვანელი						
	დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (გამოკითხვები)	დეკანი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
ცოდნის შეფასების	დეკანი						
	ხარისხის უზრუნველყოფის						

სისტემის გამჭვირვალობის ხარისხი (სტუდენტთა ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ)	სამსახურის ხელმძღვანელი						
სტუდენტთა შეფასებების (მიმდინარე, შუალედური, დასკვნითი) სტატისტიკური ანალიზის შედეგი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
სტუდენტთა ინტერვიუირების შედეგები	დეკანი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
ლექციების/ჯგ.მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიულის/სხვა მონიტორინგის შედეგები	დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	პროგრამის ხელმძღვანელი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
სტუდენტთა კონსულტირება	დეკანი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
სხვა აკადემიური აქტივობა (სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.	დეკანი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
საბოლოო შეფასება	დეკანი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
პროფესორის/							

მოწვეული სპეციალისტის კომენტარი	

ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის

დანართი 2

(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/92 დადგენილებით)

(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს N06-01/51 დადგენილებით)

შეფასების კომპონენტები	შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები	უმაღლესი					შეფასება
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	დეკანი						
	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	სამეცნიერო კვლევების სამსახური						
სამეცნიერო პუბლიკაციები	დეკანი						
	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
	სამეცნიერო კვლევების სამსახური						
გამარჯვებულ/და ფინანსებულ სამეცნიერო	დეკანი						

საგრანტო პროექტებში მონაწილება ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების მიღება, მაგრამ ვერ გამარჯვება (მაქსიმალური შეფასების 80% და მეტი)	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	სამეცნიერო კვლევების სამსახური						
სხვა სამეცნიერო აქტივობები:	**დადასტურებაზე პასუხისმგებელი პირი**						
სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	სამეცნიერო კვლევების სამსახური						
სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	სამეცნიერო კვლევების სამსახური						
საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	დეკანი						
	პროგრამის ხელმძღვანელი						
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა	დეკანი						
	პროგრამის ხელმძღვანელი						
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა	პროგრამის ხელმძღვანელი						
	სამეცნიერო კვლევების სამსახური						

სამეცნიერო სემინარების ჩატარება	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	სამეცნიერო კვლევების სამსახური						
სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა	დეკანი						
	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი						
სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა	დეკანი						
	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება	დეკანი						
	პროგრამის ხელმძღვანელი						
სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	სამეცნიერო კვლევების სამსახური						
	დეკანი						

სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
საექსპერტო მომსახურება	დეკანი						
	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა	დეკანი						
	დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
	სამეცნიერო კვლევების სამსახური						
სხვა;							
სხვა აქტივობის საბოლოო შეფასება:							**სამეცნიერო კვლევების სამსახური**
საბოლოო შეფასება:							• **დეკანი** • **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური** • **რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით)**
დასაქმებულის (აკადემიური თანამდებობის პირის) კომენტარი							

ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის
დანართი 3.

(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/92 დადგენილებით)

აკადემიური პერსონალის სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასება							
	შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები	უმაღლესი	მაღალი	კარგი	შეფასების გარეშე	დადასტურება	შენიშვნა
საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა	დეკანი						
სამსახურეობრივი პასუხისმგებლობა	დეკანი						
კორპორაციული პასუხიმგებლობა	დეკანი						
დარგობრივი დეპარტამენტის სხდომებში მონაწილეობა	დეპარტამენტის ხელმძღვანელი						
ფაკულტეტის საბჭოს სხდომებში მონაწილეობა	დეკანი						
სადისერტაციო საბჭოს სხდომებში მონაწილეობა	დეკანი						
წარმომადგენლობითი საბჭოს და აკადემიური საბჭოს სხდომებში მონაწილეობა;	ადმინისტრაცია						
სხვადასხვა საუნივერსიტეტო სამუშაო ჯგუფებში/კომისიებში მონაწილეობა.	ადმინისტრაცია						
საბოლოო შეფასება	დეკანი						
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი						
აკადემიური პირის კომენტარი							

ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის
დანართი 4

(ძალადაკარგულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/92 დადგენილებით)

სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია

1. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა და შესაბამისი საკონფერენციო თეზისები:

1.1. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;

1.2. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar -ის მიერ.

1.3. რეგიონული, რესპუბლიკური საკონფერენციო მასალები, რომლებიც არ აკმაყოფილებს 1.2. და 1.3. ქვეპუნქტების მოთხოვნებს;

2. სამეცნიერო პუბლიკაცია/გამოგონება/პატენტი:

2.1. იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ;

2.2. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

2.3. რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში ;

2.4. ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე აკადემიური პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი;

2.5. სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით;

2.6. სტატიები საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში;

2.7. პატენტები ...

3. წიგნი/მონოგრაფია

3.1. მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

3.2. ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*;

3.3. საქართველოში გამოცემული მონოგრაფია/სახელმძღვანელო, რომლებსაც აქვთ ISSN ან ISBN კოდი.